

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კონსტანტინე კეკელიძე

### ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ

მიმდინარე 1955 წელს<sup>1</sup> გამოვიდა მკვლევარ პ. ინგოროყვის შრომა: „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“ (888+0124 გვ.). ის ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია ისტორიული, მეორე—ისტორიულ-ლიტერატურული (547 გვერდიდან ბოლომდე). ბუნებრივია მკითხველის, განსაკუთრებით არა სპეციალისტის, სურვილი გააგებინონ მას: რას წარმოადგენს ეს უზარმაზარი ნაშრომი, რას იძლევა ის ახალს და რა ადგილი შეიძლება მიეკუთვნოს მას ჩვენს მეცნიერებაში? ჩვენ გვინდა ნაწილობრივ მიინც დავაკმაყოფილოთ ეს სურვილი. ნაწილობრივო, ვაშობთ, იმიტომ, რომ პირველს, ისტორიულ ნაწილს ჩვენ არ ვეხებით, ეს ისტორიკოსის საქმეა, ჩვენ უფრო გვაინტერესებს მეორე ნაწილი მისი, ისტორიულ-ლიტერატურული.

ამ ნაწილში გაწეულია დიდი, კოლოსალური შრომა ხელნაწერთა ჩხრეკისა და მათგან მასალის ამოკრების ხაზით, ეს შეუძლია წარმოიდგინოს და გაიგოს მხოლოდ იმან, ვისაც ხელნაწერებზე უმუშავნია.

ვიდრე ამ ნაწილის სპეციალურ განხილვას შევეუდგებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს ზოგადი მისი ხასიათი.

1. ავტორს ახსიათებს ზვიადობა, სხვისი ნაშრომის თითქმის სრული იგნორირება. კითხულობთ ამ შრომას და გგონიათ, რომ ძველი ქართული პოეზიის, განსაკუთრებით სასულიეროს შესახებ ინგოროყვამდე არავის არ უფიქრია: „მე მივაკვლიე, მე ამოვშიფრე, მე ამოვხსენი, მე მივაგენი, მე დავადგინე, მე გამოვაგვლინე, აქ ჩვენ სრულიად მოულოდნელი აღმოჩენა მოგველოდა“ (გვ. 613) და სხვა ამგვარი გამოთქმები დამახასიათებელია ავტორისა. იმას არ უნდა გამოტყდეს, რომ ის ვერ გააკეთებდა იმას, რასაც ახლა გვაწვდის. მის დრომდე სხვას რომ არაფერი გაეკეთებია. რა ეცოდინებოდა მას ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ტერმინოლოგიიდან, ეს ტერმინოლოგია დამუშავებული რომ არ ყოფილიყო წინა მკვლევრების შრომებში? ვინ გაშიფრა და ნათელყო ლიტურგიკული „კანონის“ გალობათა ბიბლიურ „გალობებთან“ კავშირი? ვინ გაარკვია „ხმათა“ ორი ფენი: ძირითადი და გუერდნი (გნი)? ვინ გაარკვია ქართული წელთაღრიცხვის ზედმეტობა 112,104 და 96 წლით? ვინ ახსნა თვით ტერმინი „იადგარი“, რომელიც მთავარი საგანია ავტორის კვლევა-ძიებისა? საქმე ისე აქვს მას წარმოდგენილი, თითქოს ყველაფერი ეს მის მიერაა გაკეთებული, ახსნილი და მოპოვებული. მოუხსენებლობა სხვების შრომებისა პირდაპირ საზღაპროა; აი ზოგიერთი მაგალითი: ა) არსებობს

<sup>1</sup> რეცენზია დაწერილია 1955 წლის შემოდგომაზე; სხვადასხვა ტექნიკური მიზეზით მისი გამოქვეყნება დაგვიანდა.

იოანე-ზოსიმეს (X საუკ.) ნაწარმოები, რომელიც იწყება ასე: „გუნდნი იგი ზეცისანი“. კარგა ხანია პროფ. პ. ბერაძემ მიაგნო ამ ნაწარმოების მეტრს, დაალაგა მისი ტაქტები ამ მეტრის მიხედვით და მიიღო საკმაოდ მუსიკალური ლექსი, რვამარცვლიანი სტრიქონებისაგან შემდგარი ოთხმარცვლიანი კლაუზულით. ამ ფაქტის აღნიშვნა საჭიროდ დაუნახავთ „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაშიც“ კი (ს. ყაუხჩიშვილი, II, 385). პ. ინგოროყვა კი სპეციალურ გამოკვლევაში ძველი ქართული ლექსის შესახებ, როდესაც ის ან ნაწარმოებს ეხება და თავის მცდარ წაკითხვას იძლევა (579—580), სულაც არ ახსენებს ამ ფაქტს. ბ) ის სახე ძველი ქართული ლექსისა, რომელსაც ის „სტროფულ-ტაქტობრივს“ ეძახის და რომლის თითქოსდა „აღმოჩენით“ ის ამაყობს, გამოვლინებულია უფრო ადრე, ყოველ შემთხვევაში იამბიკურ ნაწარმოებთა ხაზით (კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია I<sup>2</sup>, 305, 570), მაგრამ ის ამას დუმილით უვლის გვერდს, თუმცა ჩერდება იმ ნაწარმოებებზედაც, სადაც ეს გამოვლინებულია (836—837). აღარ ვჩერდებით უფრო ნაკლები მნიშვნელობის მაგალითებზე, არცთუ იმ აზრებისა და შეხედულებების შესახებ ვლაპარაკობთ, რომელნიც წინა მკვლევრების მიერაც არიან გამოთქმულნი.

2. პოეტიკის ტერმინების უცხო, უმეტეს შემთხვევაში ბერძნული ფორმით მოყვანა ძალზე ართულებს წიგნით სარგებლობას. ყოველ შემთხვევაში, რა საჭიროა სასულიერო პოეზიაში ე. წ. „კანონის“ გალობათა აღნიშვნა ტერმინით „სტროფი“ და „ანტისტროფი“? ასეთი ტერმინები არ იცის არც ბიზანტიურმა, არც ქართულმა „კანონმა“. ბერძნულად იმას, რასაც ავტორი სტროფს ეძახის, ეწოდება ი რ მ ო ს ი. ქართულად ძ ლ ის პ ი რ ი, ხოლო ანტი-სტროფი ბერძნულად აღინიშნება ტერმინით ტ რ ო პ ა რ ი, ქართულად — და ს დ ე ბ ე ლ ი.

3. დასასრულ ერთი კიდევ ზოგადი ხასიათის შენიშვნა. ჰიმნოგრაფიულ ლიტერატურაში ყველაზე მეტად ცნობილი და მიღებულია ე. წ. „კანონი“. ეს არის კომპლექსი რამდენიმე მუხლის ან სტროფისაგან (2, 4, 5) შემდგარი ერთეულისა, რომელსაც ეწოდება „გალობა“. ჩვეულებრივი ტიპის „კანონი“ შეიცავს ცხრა „გალობას“ (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9), მაგრამ არის ისეთი ტიპიც, ძალიან გავრცელებული, რომელშიაც მეორე გალობა განოვარდნილია და ფაქტიურად გვაქვს რვა (1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9), მკვლევარს ვერ შეუგნია სტრუქტურა და ხასიათი ამ მეორე ტიპის კანონისა და იმაში თვლის რვა გალობას (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8), ასე რომ მესამე გალობა, მისი ანგარიშით, არის მეორე, 4—3, 5—4, 6—5, 7—6, 8—7, 9—8 (მაგალითისათვის იხ. გვ. 600—605, 074—077 და სხვ.). ამ გარემოებას დიდი აღრევა შეაქვს გამოკვლევაში.

• •

ახლა განვიხილოთ გამოკვლევის მთავარი ნაწილი. იეტორი მიზნად ისახავს გაარკვიოს სამი ძირითადი საკითხი: 1) ძველი ქართული ლექსთწყობის სახეები, 2) ძველი ქართველი ჰიმნოგრაფები და 3) მათი შემოქმედება. დავიწყოთ პირველი საკითხიდან.

იეტორის აზრით, ირსებობს სამი სახე ძველი ქართული ლექსისა: 1) სილაბური მუხლედოვანი ან ძველი ქართული კლასიკური ლექსი; ამ ლექსის ნიმუშები თავს იჩენს V—VIII საუკუნეებიდან, უმაღლესს, სრულყოფილ სახეს

ის ლებულობს ვეფხისტყაოსანში და სტრუქტურულად უცვლელი რჩება XVIII საუკუნემდე. ის გადმოდის მეოცე საუკუნეშიც (557). ავტორი მიმოიხილავს ამ ლექსის ეტაპებს და წარმომადგენლებს, საილუსტრაციო მასალის დართვით, მეფეთე საუკუნიდან ბესიკი გაბაშვილის დრომდე (559—589). ავტორი ამ სახეზე უფრო ვრცლად უნდა შეჩერებულიყო, რადგანაც ქართული ლექსის მკვლევარს დღეს სწორედ ამ სახესთან აქვს საქმე. უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენ ორთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში ბევრი რამაა შესაწორებელი და დასაზუსტებელი, ჩვენ იმაზე არ შევჩერდებით, რადგანაც ყველიფერი ის, რაც აქ ნათქვამია, ქართული ლექსის მკვლევრისათვის ძირითადად ამდებანაც იყო ცნობილი. არ შეიძლება მხოლოდ ყურადღება არ მიექციოთ იმ დამახინჯებას, რომელიც განუცდია პ. ბერაძის მიერ გამართულ ლექსს იოანე-ზოსიმესას („გონდნი იგი ზეცისანი“) პ. ინგოროყვას შესწორებაში თანახმად მისი სტროფულ-ტაქტობრივი საზომისა (579—580). ხელოვნურად დამხზვრულმა სტრიქონებმა (16, 12 და 8 მარცვალი) უღმობღლად უმტყუნა მკვლევარს: მეფეთე სტროფის შესამე ტაქტში იმას სკირდებოდა 16 მარცვალი; რადგან ტექსტი ამას არ იძლეოდა, მან ნებისმიერად ჩაუმატა აქ სიტყვა „იგი“ და ამ გზით მიიღო საჭირო რაოდენობა მარცვლისა. ტექსტში ჩამატებისა და გამოგდების გზით, რასაკვირველია, ყოველგვარი საზომის მიღება შეიძლება.

• •

მეორე, უძველესი, მისი სიტყვით (731), სახე ქართული ლექსისა ყოფილა, როგორც თვითონ ამბობს, „წყობილი სიტყვა რიცხვდით“, ან, უფრო მოკლედ, „წყობილი სიტყვა“. ამ ლექსს იხასიათებს არა „მარცვლედობა“, ესე იგი, მარცვალთა სათვალავი ტაქტში, არამედ „რიცხვედობა — ტაქტობრივი რიტმიკა“ (709). ეს ლექსი ხმარებაში იყო თურმე მერვე საუკუნის უწინარეს ხანაში, ხოლო გრიგოლ ხანძთელის დროიდან ის გამოდენა ხმარებიდან „მარცვლედმა“ ლექსმა (731—2). მართალია ეს? ამ საზომით, მკვლევრის სიტყვით, წერდა თვით გრიგოლ ხანძთელი, გიორგი შერჩული (რომელსაც ავტორი აკუთვნებს „ქართული ენის ქებას“, გვ. 753) და იოანე ბოლნელი. ამ საზომით დაწერილი ყოფილა ფოლკლორული ტექსტები, რომელნიც ლეონტი მროველის (XI ს.) საისტორიო შრომაში შესულან (700).

მეორე—ეს ლექსი მომდინარეობს თურმე აღმოსავლური, სემურ-ებრაული პოეზიიდან (710). მაგრამ ამასთან ერთად ავტორს გამოურკვევია, რომ ის საივ ამ ლექსისა. რომელსაც „იამბიკონი“ (არა 12-მარცვლიანი) ეწოდება, იგივეა, რაც „ძილებულია საშუალ-საუკუნეთა ბერძნულში“ (733—734). როგორ შევითანხმოთ ყოველივე ეს? მესამე — შეიძლება კი ამ „ლექსს“ ლექსი ეწოდოს? თუ ჩვენ ჩაუკვირდებით ამ „ლექსის“ ნიშნებს, რომელიც ავტორს მოჰკავს (709—753), დავრწმუნდებით, რომ აქ არავითარი ლექსი არ გვაქვს. აბა რა „ლექსი“ უნდა იყოს ის ლექსი, რომელიც არ ემყარება არც ტერფთა და მარცვალთა რაოდენობას ტაქტში, არც მარცვალთა სიგრძე-სიმოკლეს, არც რითმას, არამედ „შინაარსობლივი ერთიანობით შეკრულ ტაქტს“ (710—711); თან რას ნიშნავს ეს სიტყვები? არსებითად ყოველი გონიერი წინადადება მეტყველებაში „შინაარსობლივი ერთიანობითაა შეკრული“, აქ არავითარი პოეტიკური განსაზღვრა არ მოგვეპოვება. ჩვენ არ ვიცით, რა „ლექსი“ უნდა გამოსჭრა იმ ნაწარმოებიდან, რომელსაც, მაგალითისათვის, „ქებაჲ

ქართულისა ენისაჲ ეწოდება, უწყვეტელი სტრიქონით იქნება იგი წარმოდგენილი თუ წყვეტილით:

დამარბულ არს ენაჲ ქართული  
დღეშდუ მუორედ მოსლვისა მისისა საწამებელად,  
რათა ყოველსა ენასა  
ღმერთმან ამბილოს ამით ენითა (749)?

გინა თუ ფსალმუნის შემდეგს პროზაულ მუხლებში, რომელიც მკვლევარს ასე „გაულექსავს“:

ამაღლდა მზე  
და მთვარე დადგა წესსა ზედა მისსა.  
ნათლად სატყორცნი ზენნი ვიდიდინ,  
ბრწყინვალეზად ელვისა საჭურველნი ზენნი (725)

ანდა პროზით დაწერილს „ფარნაეზის სიზმარში“, რომელსაც მკვლევარი ლექსის შემდეგს ფორმას აქლევს:

მაშინ იბილა ფარნაეზ სიზმარი,  
რეცა იყო იგი საზლსა შინა უკაცურსა,  
და ვგულბოდა განსლვა  
და ვერ გავიდა (727)

ყოველი პროზაული მოთხრობიდან შეიძლება ამგვარი „ლექსის“ მიღება. აი სახელდახელოდ ავიღოთ ილიას „სარჩობელაზე“: „მზე გადიხარა, თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო. იმ ენაჩაუარდნილმა ადგილმა გაიბმაურა. აიშალნენ მეურვეები თვალების ფშენეტით; პირზე წყალი შეისხეს და შესაბმელად მორეკეს საქონელი“ (ტ. I, გვ. 406, 1937 წ.). დავტეხოთ ეს სტრიქონები სალექსო ტიპებად, მივიღებთ „ლექსს“:

მზე გადიხარა  
თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო.  
იმ ენაჩაუარდნილმა ადგილმა გაიბმაურა,  
აიშალნენ მეურვეები თვალების ფშენეტით;  
პირზე წყალი შეისხეს  
და შესაბმელად მორეკეს საქონელი.

რით განსხვავდება ეს „ლექსი“ ზემონაჩვენებისაგან?

კიდევ ერთი შენიშვნა ამ „ლექსის“ შესახებ. საილუსტრაციოდ ამ ლექსის ერთი სახისა ავტორს მოჰყავს „იამბიკონი ქართულსა ანბანსა ზედა ძუელნი“ (733—734, 0101). „იამბიკონი“ ამ ლექსს ეწოდება ბერძნული კანონის ხუთტაეპოვანი იამბიკონის მიხედვით, რომლის სტროფი ხუთი ტაეპისაგან შედგებაო. ეს საეკვოა: თუ ის ბერძნულის მიბაძვას, რად ეწოდება „ქართული“. მეორე—იამბიკონის დამახასიათებელი არაა მხოლოდ სტროფის ხუთტაეპოვნება. საეკვოა „ძუელნის“ განმარტებაც. სახელი „ძუელნი“ წარმოდგა იმისაგან, რომ ასეთი საგალობლები იწერებოდა V—VIII ს. გრიგოლ ხანძთელამდე, რომელმაც შემოიღო მათ მაგიერ ჩვეულებრივი იამბიკონების წერაო. ჯერ საეკვოა, რომ ჩვეულებრივი იამბიკონების წერა გრიგოლ ხანძთელს შემოედოს: თუ მის დრომდე იყო სახელი „იამბიკონი“, ხუთი ტაეპი სტროფისა და ანბანობრივი აკროსტიხი, იქნებოდა სხვა მისი ნიშნებიც. არაა სწორი, რომ „ძუელნი“ საგალობელნი არიან ისეთი საგალობელნი, რომელნიც შეუთხზავთ

გრიგოლ ხანძთელის დრომდე; იგი თვითონ უჩვენებს „ძულ საგალობელთა“ ჯგუფს (56 საგალობელი), რომელთა ავტორები, მისივე სიტყვით, არიან გრიგოლ ხანძთელი, ივანე მინჩხი, ბასილ ხანძთელი, ივანე მგალობელი და სხვა. (გვ. 042, 048)! „ძული“ ეწოდება ყველა საგალობელს მეათე საუკუნემდე ჩათვლით, მაშასადამე, გრიგოლ ხანძთელისასაც. მეათე საუკუნეში გამოჩნდა მთელი პლყადა ჰიმნოგრაფებისა, რომელთა ნაწარმოებებს ეწოდება „ახალი“ გასარჩევად წინადროისაგან. მაგალითად, 940 წლის სინას ხელნაწერში № 34 ჩვენ გვაქვს „საგალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი ახალნი და ძულნი“. სინასავე X საუკუნის ხელნაწერში № 75 არის ოცდაშვიდი „ძულნი საგალობელნი“, რომელთა შემდეგ მოდის 20 საგალობელი მინჩხის თუ „მინჩხურნი“, ალბათ როგორც „ახალნი“. X—XI საუკ. ხელნაწერში A 596, რომელშიც ბლომად მოიპოვება „ძულნი“ საგალობელნი, გვხვდება „ახალნიც“. აქ 30 იენისს, პეტრესა და პავლეს დღესასწაულზე. მოთავსებულია ჯერ „ძულნი“ დასდებელნი (64 წ), მერე კი— „სხუანი ახალნი“ (ეს უკანასკნელნი შესულან ანტონ პირველის მიერ რედაქტირებულ „თთუნშიც“. „ახალ საგალობელთა“ ჯგუფი (45 რაოდენობით) ნაჩვენებია თვით ავტორის მიერაც (042—050).



მესამე სახე ძველი ქართული ლექსისა, მკვლევრის სიტყვით, არის „სილაბური უკვეთელი ლექსი“, ის, რასაც ჩვეულებრივ ვუწოდებთ რიტმულ პოეზიას, უფრო ვიწროდ—„გალობას“ ან „ქანონს“. ქანონი შედგება რვა, ზოგიერთ შემთხვევაში ცხრა „გალობისაგან“, თვითეული მათგანი შეიცავს რამდენიმე სტროფს: 3, 4, 5 და უფრო მეტსაც. ხელნაწერებში ეს სტროფები წარმოდგენილნი არიან არა სალექსო ტაეპებით, არამედ გაბმული სტრიქონებით, როგორც პროზაული ნაწარმოები. სტროფში შეიძლება იყოს ხუთი (განსაკუთრებით თუ ის იამბიკოა) და მეტი „ტაეპი“, ტაეპში სხვადასხვა რაოდენობა მარცვლებისა. ამ შემთხვევაში ერთი რომელიმე სტროფი არ შეადგენს ლექსს, რადგანაც იმაში არაა არც მეტრი, არც რითმა და არც რამე სხვა თვისება, რომელიც ლექსსა ჰქმნის. მაგრამ ამ ნაწარმოების მომდევნო სტროფებში ჩვენ გვაქვს თვითეულში იმდენი ტაეპი და ტაეპში იმდენი მარცვალი, რამდენიც პირველში, მაშასადამე, ლექსს წარმოადგენს არა რომელიმე ცალკეული სტროფი, არამედ კომპლექსი ერთიდაიმავე საზომის სტროფებისა. ასეთი მდგომარეობა ყოფილა თურმე ბიზანტიურ რიტმულ პოეზიაშიც. ამ პოეზიის შესახებ არსებული გამოკვლევანი, რომელთა შედეგები მარტივად და გასაგებადაა გადმოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ (ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 383—423), ჩვენს ავტორს მიუყენებია ქართული ჰიმნოგრაფიისათვის და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ასეთი ხასიათი ბიზანტიური რიტმული პოეზიისა, შეთვისებული ძველი ბერძნული ქორული ლირიკიდან, გადმოსულა ქართულ ჰიმნოგრაფიაშიცო (590—598), რომელიც, მაშასადამე, ბერძნულის მიბაძვით ყოფილა წარმოშობილი. საჭიროა შემოწმება აღნიშნული დებულებისა, ჩვენ ვალდებულნი ვართ განვიხილოთ, მართლა ისეა საქმე ქართულ ჰიმნოგრაფიაში, როგორც ბიზანტიურში ყოფილა?

ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება რიტმული ჰიმნოგრაფიისა ყოფილა ერთნაირი რაოდენობა მარცვლებისა ტაეპებში. ენახოთ, რამდენად გამართლებულია ეს ამ „ლექსის“ იმ ნიმუშებში, რომელნიც მოტანილია საანალიზო

ნაშრომში, ანდა ავტორის მიერ გამოცემულ საგალობელთა კრებულში. რომელსაც ეწოდება „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“. ირკვევა, რომ ამათუიმ სტროფის ტაეპებში არ არის ყოველთვის ერთნაირი რაოდენობა მარცვლებია. ეს თვით საანალიზო ნაშრომში ჩანს, სახელდობრ გვ. 593—4: 1 სტროფი, ტაეპი მე-4, IV სტროფი, ტაეპი 4. მაგრამ ამის მაგალითი ძალზე ბევრია „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაში“ იმ საგალობლებშიაც კი, რომელთაც ავტორი ასახელებს; ასე მაგალითად, გვერდები 19—21, 23—26, 30—31, 32—37, 323—325, 326, 332—333, 334—335, 403—411.

საქმის ისეთ მდგომარეობაში, თავისი სტროფულ-ტაეპობრივი ლექსისა გადასარჩენად, მკვლევარი ტექსტების შეკეთებას შიშობთავს: ის ტექსტში უმატებს ხოლმე მარცვალს, ხანდახან სიტყვასაც კი. აი სახელდახელოდ რამდენიმე მაგალითი: გვ. 593, სტროფი 1, ტაეპი მე-2, ჩამატებულია ზ; გვ. 696: I, 4—შენი, I, 9—კუალად. II, 4—წმიდისა<sup>1</sup>. განსაკუთრებით დამახინჯებულია „საგალობელნი სინანულისანი“ დავით აღმაშენებლისა. ასე მაგალითად, გალობა I, სტროფი 1, ტაეპი მე-6: ზენაო, ანტისტროფი 3, ტაეპ. 5—რე (ვრცლადრე), ტაეპი 6—ჩემნი, ანტისტრ. 4. ტაეპ. 5—დედაო, გალობა II, ანტისტრ. 3, ტ. 7—თა (მათთა). გალობა III, ანტისტ. 4. ტაეპ. 4—ცა (რომელთაცა). გალობა IV, სტრ. I, ტ. 4—ისა (ყოღვისა), ტაეპ. 5—მე; ანტისტრ. 2, ტ. 4—ად (ეამად); ანტისტ. 4, ტ. 3—ი (შეზაფხბაი). გალობა V, ანტისტრ. 2, ტ. 1—მათ; ანტისტ. 2, ტ. 5—ყოვლად, ტ. 6—ი (ემკვდრობდი). ანტისტრ. 4, ტ. 6—ვე (ყოველივე). გალობა VI, ანტისტრ. 3, ტ. 4—და. ანტისტრ. 4, ტ. 2—ე (ღმერთსაი). გალობა VII, სტრ. I, ტ. 7—ა (თქეშითა); ანტისტ. 2, ტ. 3—მე. ანტისტ. 3, ტ. 4—მე. სტრ. 4, ტ. 5—სა (ყოღვასა). ტ. 6—ი (თეატროი). გალობა VIII, სტრ. 4, ტ. 1—და, ო(ერთო). ალაგ-ალაგ ავტორი მარცვალთა საჭირო რაოდენობის მისაღებად სიტყვებს აკლებს მარცვალს და ტაეპს სიტყვასაც კი. რამდენიმე მაგალითი: ერთ საგალობელში შემდეგი 13-მარცვლიანი ტაეპი გვაქვს: „და მიიღე ტალანტი უფლისა შენისაა“; ჩვენს მკვლევარს კი სჭირია 11-მარცვლიანი ტაეპი, ამიტომ „და“ სულ ამოუგდია, ხოლო მომდევნო სიტყვა (მიიღე) დაუწერია არა ისე, როგორც დედანში ყოფილა, არამედ როგორც „მიღე“ (594). გვ. 595 დაბეჭდილია „ზეცის“, უნდა იყოს „ზეცისა“ (ანტისტრ. 2, ტ. 8). დავით აღმაშენებლის კანონში: გალობა III, სტრ. I, ტ. 3—თავში აკლია „და“; ანტისტ. 3, ტ. 1—მიერ (მიერი), ტაეპ. 5—„თითოეულსა ვნების“ (თითოეულისა ვნებისა). 4 ანტისტრ., ტ. 5—გამოტოვებულია „წმიდიო“ („ქადაგო წმიდაო“). გალობა IV, სტრ. I, ტ. 2—„წიგნისანი“ (წიგნისა); ტ. 3—გამოტოვებულია „სხუაჲ“ (კუალად სხუაჲ); 2 ანტისტრ., ტ. 2—გამოტოვებულია „მკეცსა“; ტ. 5—ბუნებისაებრ (ბუნებისებრ). გალობა V, I სტრ., ტ. 4—ღმრთისა (ღმრთის); 2 ანტისტრ., ტ. 2—„და შევპრთე“—შევპრთე; ტ. 3—და აგარაკი—აგარაკი; 3 ანტისტრ. ტ. 4—გამოტოვებულია „ჩემსა“ (საწოლსა ჩემსა). გალობა VI, ანტისტრ. 3., ტ. 6—ზრდითა (ზრდით). გალობა VII, ანტი. 2, ტ. 6—7—გადასმულია ერთი მეორის ადგილზე; ტ. 8—რომელი (რომელ); ანტისტ. 3, ტ. 5—მოიჭაენებ (იჭსენებ); ანტი. 4, ტ. 3—შენდამო (შენდა); ტ. 6—ვითარცა (ვითარ). გალობა VIII, ანტი. 5, ტ. 1—ქალწული (ქალწულ).

<sup>1</sup> სიტყვათა ჩამატება-გამოკლების მაგალითები იხ. სხვათა შორის გვ. 086—087 და სხვ.

ასეთ მანიპულაციებს ვხედებით თვით ავტორის მიერ დაბეჭდილ ტექსტებში, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია; რადი გვეჩვენა იმ ტექსტებში, რომელნიც ამდენხან გამოქვეყნებულნი არ ყოფილან და რომელთაც ჩვენ ვეცნობით მხოლოდ იმის გამოკვლევაში? თვითვე მის მიერ მოტანილ შავალითს შედარება სჭირია ხელნაწერებთან, ისე მისი გამოყენება მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის შეუძლებელია.

აღმათ ავტორი გრძნობს საქმის ასეთ მდგომარეობას და ლექსის ამ სახის გადასარჩენად მიმართავს იმავე ბერძნულ არსენალს. ისევე, როგორც ბერძნული ჰიმნოგრაფიის ლექსში, ამბობს ის, ქართულ ჰიმნოგრაფიაში დასაშვებად ითვლება მარცვლის მეტობა ან ნაკლებობა ტაქტში (707), აგრეთვე, მსგავსად ბერძნულისა **ა** და **ჟ** (ბრჯგუ), რომელნიც მარცვალთა სათვალავში არ მიიღებიან ხოლმე, ცალკეულ შემთხვევაში ჩაითვლებიან როგორც სრულხმოვანნი (იქვე); პირიქით, არის შემთხვევა, როდესაც სრულხმოვანნი **ე** და **ჟ** ითვლებიან ნახევარხმოვნებად (708). ამასთან ერთად, მისივე სიტყვით, ორი, ერთიმეორის გვერდით მდგომი, ხმოვანი ერთიანდება ერთი ხმოვნის სახით (707). მარცვალთა ზედმეტობა-ნაკლებობაში, ამბობს ის, გამოვლენილია ის საერთო ტენდენცია, რომელიც ახასიათებს ჰიმნოგრაფიული პოეზიის სალექსო ფორმას—დარღვევა ერთფეროვანი სიმეტრიისა მარცვლების მიმატება-დაკლებით (693). თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშინ ლექსთწყობის ასეთ სახეს ხაზი უნდა გადაესვას, რადგანაც არ ყოფილა მისთვის არავითარი მყარი და გარკვეული კანონი: როგორც მოგეპოიანება, ისე მოიქცევი. მკვლევარს ეს გაპონაკლისები, ჰიპერმეტრია-ლიპომეტრისა და დიერეს-სინერესის სახელით, ბერძნულიდან გამოჰყავს. დავეთანხმდეთ, თუ გნებავთ, მის მიერ ბერძნულიდან მოტანილ გამონაკლისების კანონს—მარცვლებისა და სიტყვების ჩაქატება-ამოგდება ტექსტიდან რომელ კანონს ემორჩილება?<sup>1</sup>

მკვლევრის აზრით, ეს სახე. ლექსისაა, ყველა "მისი გამონაკლისით, ბიზანტიური წარმოშობისაა, მაგრამ, ჯერ ერთი, გიორგი ათონელი „ქრისტეს შობის კანონში“, რომელშიც გვაქვს სხვადასხვა საზომის ტაქტები<sup>2</sup>, იგონებს რა იოანე დამასკელის „ქრისტეს შობის“ და სხვა კანონებს, ამბობს: „ვინაშთ-გან ამათი თარგმნაჲ ულონო არს ყოვლადვე და შეუძლებელ, ამისთჳს მე, გლახაკმან გიორგი, რეცა თარგმანმან, ქართულად იღვწერენ ესე გალობანი დიდითა შრომითა (ქ. ქეკელიძე, I<sup>2</sup>, 509). მაშასადამე, ამ საზომით დაწერილი ლექსი მას „ქართულად“ მიიჩნია და არა ბერძნულად. მეორე—ბიზანტიური რიტმიული საგალობლის დამახასიათებელი და მთავარი ნიშანია, მარცვალთა რაოდენობასთან ერთად, აქცენტუანობა, მახვილი. საჭირო იყო ავტორს ეჩვენებია: ნუ თუ ქართული რიტმიული პოეზიისათვისაც საჭიროა

<sup>1</sup> ტყვილად ცდილობს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი („მნათობი“, 1956, X, 113—114) გაა-მართლოს ასეთი მანიპულაციები ტექსტუალური კოიტრიის მოთხოვნისაგან. თვით პ. ინგო-რაყვა ამას სხვანაირად მსნის „ისევე, როგორც ბერძნული ჰიმნოგრაფიის ლექსში, ქართული ჰიმნოგრაფიის ხილბურ უწყეთელ ლექსში დასაშვებად ითვლება მარცვლის მეტობა და და-კლება ტაქტში“ (გვ. 707). მაშასადამე, ის ამას გადამწერის შეეთომად არ თვლის.

<sup>2</sup> დაშლა სტროფისა ხუთზე მეტ ტაქტად მიღებული ყოფილა ჩვეულებრივს იამბიკოში, რომელსაც აკროსტიხი აქვს და ამ აკროსტიხისათვის ასოთა საჭირო რაოდენობას არ იძლე-ოდა იამბიკოს 12-მარცვლიანი ტაქტების რაოდენობა. მაგალითად გიორგის დასახელებული კანონის აკროსტიხი თხრობლობა 120-ის მაგიერ 149 ტაქტს, ამიტომ მას ჩვეულებრივი იამ-ბიკოს 12-მარცვლიანი ტაქტი გაუყვია ორ და სამ ტაქტად (ქ. ქეკელიძე, I<sup>2</sup>, 570). ასე მოქცეულა შემდეგ იოანე შავთელიც (იქვე, გვ. 305).

მახვილი და ეს მახვილი ისეთივეა, როგორც ბიზანტიური? თუ ეს ასე არ არის, ქართული რიტმიული პოეზიის ბიზანტიურისაგან წარმოშობილობაზე ძნელი იქნება ლაპარაკი. მესამე—როგორც ცნობილია, IX—X საუკუნეთა ქართველი ჰიმნოგრაფები თავისებური სეპარაციის გზას დაადგნენ. ისინი ბერძნული სახელწოდების ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, ბერძნულის მაგიერ, თავის საკუთარ ქართულ ჰიმნებს სდებენ (კ. კეკელიძე, I<sup>2</sup>, 46—47). ნუ თუ ასეთ პირობებში რიტმი თავისი ჰიმნებისა ბერძნულიდან ისესხეს? ლექსის რიტმიულობა ხომ ენის ბუნებრივ თვისებას ემყარება. ნუ თუ ბუნება ქართული ენისა იგივეა, რაც ბერძნულისა? სანამ ამ საკითხებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მივიღებთ, ჩვენი მკვლევარის მოსაზრება მოსაზრებადვე დარჩება.

როგორ გაარკვია მკვლევარმა რიტმიული ხასიათი ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიისა? პუნქტუაციის საშუალებით. გრძელს, პროზის მსგავსად გაბმულად დაწერილ სტრიქონებში ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებებში ჩვენ გვაქვს წითელი თუ შავი მელნით სიტყვებს შორის ჩაწერილი წერტილები. აი ეს წერტილები აღმნიშვნელია თურმე იმისა, რომ მათშუა მოქცეული სიტყვები შეადგენენ სალექსო ტაეპს (გვ. 591). რა გვეთქმის ამის შესახებ? ეს გზა მეტად საეჭვოა, რაც ნათლად ჩანს იმ მაგალითიდან, რომელიც მკვლევარს მოჰყავს და რომლითაც მას სურს დაამტკიცოს თავისი დებულება. ესაა იოანე მინჩხის (X ს.) საგალობელთა ერთი სტროფი, რომელიც გაბმული სტრიქონითაა დაწერილი და წერტილებით შემკული. ეს სტროფი ხელნაწერში ასეთა წარმოდგენილი (ინგოროყვი, გვ. 592):

განუკუთელი<sup>⊙</sup> განიკუთთა ქუყანაჲ<sup>⊙</sup> და დაეფლა აბელი რომელ მოიკლა<sup>⊙</sup> ძმისა ჯელითა<sup>⊙</sup> შეიწყვეა ქუყანაჲ<sup>⊙</sup> ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი<sup>⊙</sup> იკურთხა მის წილ<sup>⊙</sup> აწ და უკუნისამდე<sup>⊙</sup>

ხელნაწერში ამ საგალობელს მისი ავტორის შენიშვნა ახლავს, რომ ეს არის იამბიკონი, რომელშიაც „ყოველსა მუჯლსა 60 შეტყუებაჲ აქუს, 5 ჯერ 12“. მართლაც. იგი იძლევა ხუთტაეპოვან, ტაეპში 12 მარცვლით, ნამდვილს. ჩვეულებრივი ტაეპის იამბიკოს, რომელიც ასე ლაგდება:

განუკუთელი განიკუთთა ქუყანაჲ,  
და დაეფლა აბელი, რომელ მოიკლა  
ძმისა ჯელითა; შეიწყვეა ქუყანაჲ.  
ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი,  
იკურთხა მის წილ აწ და უკუნისამდე.

ახლა, თუ ამ სტროფს ჩვენ დავალაგებთ წერტილების მიხედვით, მივიღებთ არა ხუთტაეპოვან იამბიკოს, არამედ რვატაეპოვან ნაწარმოებს.

განუკუთელი  
განიკუთთა ქუყანაჲ,  
და დაეფლა აბელი, რომელ მოიკლა  
ძმისა ჯელითა;  
შეიწყვეა ქუყანაჲ;  
ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი,  
იკურთხა მის წილ  
აწ და უკუნისამდე.

ამრიგად, წერტილებმა ჩვენ მოგვცა არა ხუთტაეპოვანი, თვითნებულ ტაეპში 12-მარცვლიანი იამბიკო იოანე მინჩხისა, არამედ ისეთი ნაწარმოები,

რომელსაც იამბიკოს სახე დაუყარგვის და სხვა რაიმე ლექსის ვერც ერთი ნიშანი ვერ მოუპოვებია. აქედან, მაშასადამე, უნდა დავისკვნათ, რომ წერტილებში მოქცეული ნაწილი სტროფისა არ არის სალექსო ტაეპი. ვფიქრობთ, წერტილი უნდა იყოს ერთ-ერთი სამუსიკო ნიშანი, განპირობებული „საგალობლის“, ჰიმნის დანიშნულებით და ბუნებით.

\* . \*

აღნიშნული სახის ლექსისაგან მკვლევარი განოჰყოფს მის ჭვესახეს, რომელსაც ახასიათებს, მისი სიტყვით, არა სტროფობრივი რიტმიკა, არამედ მარტო ტაეპობრივი. ძართალი მოგახსენოთ, ძალიან ბუნდოვანია ის წესი, რომელსაც მისდევს, ავტორის ჩვენებით, ამ ტაეპთა დალაგება სტროფში (703), მაგრამ უთუოდ საყურადღებოა ის ნიმუში, რომელსაც უჩვენებს ის; ეს არის მეათე საუკუნის ძველი „წამება მიქაელ საბაწმიდელისა“ (702 - 703). ავტორი შენიშნავს, რომ, როდესაც 1934 წელს წაკითხულ მოხსენებაში მან დაადგინა ამ ნაწარმოების ლექსითი სახე, „ქ. კეკელიძემ გაიზიარა ჩვენო დებულებანი ჰაგიოგრაფიული პოემის ლექსითი სახეობის შესახებო“ (703). სრული ჰეშმარიტებაა, ჩვენ გავიზიარეთ ის დებულება, რომ მეათე საუკუნის საეკლესიო პოეზიაში შექრილა ლექსითი ფორმა, მაგრამ არა ის ნიშნები „სტროფულ-ტაეპობრივი“ ლექსისა, რომელთა შესახებ მაშინ ავტორს არაფერი უთქვამს და რომელიც ახლა აღმოუჩენია მას; ჩვენ გავიზიარეთ ის ფაქტი, რომ ამ ნაწარმოებში საქმე გვაქვს თავისებურ რითმოვან ლექსთან. აი მაგალითი ამ ლექსისა:

მიზილ საბაწმიდელიდან:

ტყუმა ვიკავ სოფლისაჲ,  
და აწ ქსნილ ვარ უფლისაჲ  
მონა ვიკავ ცოდვისაჲ,  
აწ მონა ვარ მალლისაჲ.

არა ვარ სწულ გუამითა,  
არცა გლახაკ საფასითა,  
არამედ სწულ სინანულითა,  
წყულულ ქრისტეს სიყუარულითა (704—706).

ტება საბა გაწმედლისა:

როზელმან ყო უდაბნოი ურწყული  
ვითარცა ქალაქი განთქმული,  
მტერთაგან გარემოცული,  
ფრიად სასტიკად შებზული,  
ბილულთა და უნილაფთ ბრძოლილი  
და ღმრთისაგან ხეგარდმო დაკული (743).

ჩვენ განვიხილეთ თეორიული ნაწილი პ. ინგოროყვას მოსახრებათა ლექსთწყობის შესახებ ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში. ახლა გადავალთ ამ მოსახრებათა ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწილზე.

\* . \*

ამ ნაწილში ლაპარაკია ძველ ქართველ ჰიმნოგრაფთა და მათ ნაწარმოებთა შესახებ. ჰიმნოგრაფთა შორის ყველაზე მეტი ყურადღება მიუპყრია გამოკვლევაში გრიგოლ ხანძთელს; ეს უკანასკნელი მკვლევარს თითქოს ქართული ჰიმნოგრაფიის მამათმთავრად მიაჩნია. იწყებს რა მის შესახებ ლაპარაკს, ის იგონებს, როგორც მოსალოდნელი იყო, გრიგოლის ბიოგრაფის,

გიორგი მერჩულის, შემდეგ სიტყვებს: „რამეთუ არს ხანძთას ჯელთა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოდ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“. გრიგოლის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობი, მკვლევარის აზრით, შენახულა, მთლიანად თუ ფრაგმენტულად, მიქელ მოდრეკილის იადგარში (S 425); რიცხვი მისი ჰიმნოგრაფიული შრომებისა თურჴე 300-ს აღემატება (გვ. 620).

ამ საგალობლებს ხელნაწერებში ავტორის სახელი, გრიგოლი, არ აწერია. მაშ საიდან ვაიგო მკვლევარმა, რომ ისინი გრიგოლს ეკუთვნიან? სულ უბრალოდ. მიქელ მოდრეკილს თავის იადგარში, რომელიც დაწერილია გრიგოლის მიერ გაშენებულ შატბერდის მონასტერში, შემოუკრებია „ყოვლით კერძო“ საგალობელნი ქართულნი; მაშასადამე, ამ კრებულში უთუოდ შევიდოდა ის საგალობელნიც, რომელნიც გრიგოლს დაუწერია, ვინაიდან ეს საგალობელნი (საწელიწდო იადგარი) მის დროს ხანძთას იყო. ჩვენ არ ვიცით, რა გზით მიაგნო მკვლევარმა სავა ხელნაწერებში (მაგალ. გოლგოთურ იადგარში) მოთავსებულ გრიგოლის საგალობლები (ამის შესახებ ის არას ამბობს), რაც შეეძება მიქელ მოდრეკილის იადგარის გამოკვნებას, აქ მეთოდოლოგიურად აოასწორ გზასთან გვაქვს საქმე. საიდან ვიცით, რომ ამ კრებულში მოთავსებული ეათთუი ჰიმნი გრიგოლს ეკუთვნის, იმას ხომ წარწერა არა აქვს? ავტორს გაიოუყვია ამ კრებულში საგალობლები მიქელ მოდრეკილის, გიორგი მერჩულის, იოვანე მტბეარის, იოვანე მინჩხის, სტეფანე სანანოისძის, ეზრასი, იოვანე ქონქოზისძის, ბასილი ხანძთელია, კურდანიის, მკარი ლეთეთელია, ანონიმების (გვ. 771). რადგანაც მათ წარწერები აქვთ (ანონიმებია?), და რაც ამ გამოყოვის შემდეგ დარჩა, ის გრიგოლ ხანძთელია ეკუთვნილებად აღიარა (გვ. 771). განა შეიძლება ამ გზით ამ საკითხის გარკვევა? ვინ იცაა, ჩამოთვლილ პირთ ვარდა, რამდენი ჰიმნოგრაფის ნაწარმოებია ამ კრებულში, რომელნიც, თუ ამ გზას გავყვებით, გრიგოლის შრომად უნდა მივიჩნიოთ!? ლოგიკაში ცნობილი ვაკონი ჩაკონი ჩაკონი ამ შემთხვევაში არ განოდგება. ერთი სიტყვით, მიქელ მოდრეკილის იადგარია მიხედვით ჩვენ ვერ ვავარკვევთ, რა ეკუთვნის აქ მოთავსებული საგალობლებიდან გრიგოლ ხანძთელს. აი ერთი მაგალითი იმისა, რამდენად სწორად განსაზღვრავს ჩვენი მკვლევარი გრიგოლ ხანძთელის მემკვიდრეობას. მიქელ მოდრეკილის კრებულის თავში მოთავსებული ყოფილა ნაწილი, რომელიც ე. წ. „ძლისპირებს“ შეიცავს. საჭირო არ იყო მკვლევარს ამ ნაწილისათვის მიეცა პრეტენციოზული სახელი „ქაშნიკი“ (მამუკა ბარათაშვილის მიხედვით). საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში ისეთ რამეს თავისი საკუთარი დაკანონებული სახელწოდება აქვს: ძლისპირნი, ირმოლოგიონი (ასეთი ირმოლოგიონი ჩვენ გვაქვს ხელნ. A 623, შეად. A 596). ასეა თუ ისე, ამ „ქაშნიკში“ მკვლევარის ყურადღება „ღრმა პოეტურობით“ (613) მიუქცევა ერთ „ლექს“, რომელიც ასე იწყება: „სოჯლისა ზღუაჲ აღძრულ არს“. მკვლევარი ამ „პოეტურ შედევრს“ მოუხაზლავს იმით, რომ მისი ავტორი თავისი განწყობილებით, აზრებით, საბეებით და ცალკე გამოთქმებით ხვდება ნ. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვის“ იმ სტროფს, რომელიც იწყება: „ცხოვრების წყაროჲ, მისე წმიდათა წყალთაგან შენთა“. ადამიანი იფიქრებს, განაგრძობს მკვლევარი, ნ. ბარათაშვილმა თავისი ლექსი დაწერა მას შემდეგ, რაც მან გადაიკითხა დასახელებული ძლისპირი, რომლის პასუხს წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის ლექსი. აქ ჩვენ გვაქვს კონვენციული შეხედრეა ორი გენიოსი მგონისა

(614—615). ვინაი ავტორი იმ ძლისპირისა? ავტორი მისი ირის თურმე „VIII—IX საუკუნეთა განთქმული ქართველი ზგოსანი გრიგოლ ხანძთელი“ (614). სამწუხაროდ ეს ასე არაა, გრიგოლი არაა მისი ავტორი. ის ნათარგმნია, ოდნევი ვარიანტებით, ბერძნულიდან; იმაში დაგვარწმუნებს შემდეგი შედარება (ბერძნული მისი დედანი მოგვეყავს მკითხველისათვის, რომ უფრო გასაგები გახდეს, მისი სლავური თარგმანით)

ქართული ტექსტი

ბერძნული ტექსტი

1 სტროფი:

(სლავური თარგმანით)<sup>1</sup>

სოფლის ზღუამ აღძრულ არს  
 ლელვითა ცოდვისამათა  
 საზიჟელად დამთქამს მე.  
 და მოვილტვი ზენდა ნაეთსა: ყუდელსა,  
 და ესრეთ გიღაღადებ.  
 დანთქმისაგან მივსენ მე — მრავალმოწყალე!

Жмрейское море возмущено  
 зря инастей бурей, к тихому  
 приставищу твоему притек,  
 воню ты: оторедл от таш жидот  
 мой, мноюучиостувс!

2 ანტიპოზი:

ქალწულთ დედოფალთ,  
 რომელმან გვიშეე სი...  
 დაუსაბამო ჭორციო!  
 დააცხერენ ღელუანი განძნებულნი,  
 ზელის სიტყუანი ჩემნი.  
 და მოვე სულსა ჩემსა  
 სიწმიდე საღმრთოა (614).  
 (კაბშით დაწერილი ტექსტი  
 ლექსის საბით წარმოდგენილია  
 პ. ინგოროყვას მიერ).

Простала владичице, рождаша  
 человеком кормачего, Господи,  
 страстей моих инастоиное и  
 лютце утол смущение я тишину  
 подаждь сердцу моему.  
 (Воскресный канон, гл. VI, песнь  
 6, ирмос и богородичен).

ჩვენ არ გვაქვს არაერთიარი საბუთი ვიჯაქროთ, რომ ასეთი შეცდომა ჩვენს მკვლევარს არ მოუდის გრიგოლ ხანძთელის სხვა ნაწარმოებთა ხაზით და არა მარტო გრიგოლის, არამედ სხვა ჰიმნოგრაფებისაც<sup>1</sup>. ბერძნულიდან ნათარგმნია-აგრეთვე, ერთი თვალის მოვლებით, ქართულად მიჩნეული ძლისპირები: „ღამე რამ თანაწარგუქდა“ (633), „არავინ არს შენებრ წმიდა“ (646), „წამისყოფითა შენითა“ (652), „ღმრთისა გარდამოსლვასა“ (662), „მესმა, უუალო, განეგბაი“ (679) და სხვ.

ერთი სიტყვით, ჩვენ არ მოგვებოვება არაერთიარი საშუალება იმისათვის, რომ გრიგოლ ხანძთელია ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა ზუსტად გამოვარკვიოთ, ამიტომ არც გვაქვს უფლება ესათუის საგალობელი მის ნიუაკუთვნოთ. ამას გარკვევა შეუძლებელი ყოფილა თვით მიქელ მოდრეკილისათვის, ნიუბედავად იმისა, რომ 30 წლით ადრე მისი კრებულის დაწერამდე (978—988 წ.) გრიგოლას იადგარი. როგორც მისი ბიოგრაფი ამბობს, ჯერ კიდევ ხანძთის ყოფილა („აწ არს“)<sup>2</sup>.

მკვლევარის სიტყვით, რამდენიმე ნაწარმოები გრიგოლისა შენახულა მის ბიოგრაფიაში, რომელიც გიორგი მერჩულს დაუწერია: სამი „სავედრე-

<sup>1</sup> არამცთუ ჩვენი ავტორი ჩადის ასეთ შეცდომას, თვით მიქელ მოდრეკილსაც კი ზოგიერთ შემთხვევაში საგალობელნი ბერძენ მწერალთა იოსების, გერმანესი, იოანე დამასკელის, თეოფანესი, ანდრია კრიტელისა ქართულად გაუსალგბია (0114—0116).

<sup>2</sup> იმ. გვ. 0118.

ბელი“—ლოცვები, რომელნიც გრიგოლს წარმოუთქვამს თურმე ხანძთის და შატბერდის მონასტრების და აგრეთვე ხანძთაში წმ. გიორგის ტაძრის მშენების გამო. ამით გარდა იქვე შენახული თითქოს „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“, რომელიც გრიგოლს წარმოუთქვამს თურმე დასავლეთ საქართველოს მეფის დიმიტრის წინაშე. ოთხივე ეს ნაწარმოები დაწერილია იმ საზომით, რომელსაც „წყობილი სიტყვა“ ეწოდება (1735—742). ჯერ ერთი. არაერთი „ლექსი“ ამ ნაწარმოებებში არ გვაქვს, ვინაიდან ე. წ. „წყობილი სიტყვის“ საზომი, როგორც ზემოთაც ვამბობდით. ლექსს არ წარმოადგენს, მეორე—თუ აქ რაიღე ლექსია, ის უნდა მივაკუთვნოთ არა გრიგოლს, არამედ გიორგი მერჩულს, რომელმაც თავის პერსონაჟს ჩაუდო, პირში, როგორც ეს ხდება მხატვრულ ნაწარმოებში, თავისი საკუთარი სიტყვები. ეს თხზულებანი, მკვლევარის სიტყვით, დაწერილია 782, 815, 230, 826 წლებში (გვ. 735—736). გრიგოლის „ცხოვრება“ დაწერილია 951 წელს, 169—121 წლის დაშორებით ამ თარიღებიდან. განა წარმოსადგენია, რომ ექსპრომტად წარმოთქმული ლოცვები და ქება (ყოველ შემთხვევაში გრიგოლმა ხომ არ იცოდა, რომ დიმიტრი მეფე რას კლარჯეთის მონასტრების მშენებაზე დაუწყებდა ლაპარაკს, რომ წინასწარ ამ მონასტრების „ქება“ დაემზადებია) გიორგი მერჩულს ასე ზუსტად ჩაეწერა. ამაზე მკვლევარი ამბობს: გიორგი მერჩულს ხელთ ექნებოდა გრიგოლ ხანძთელის ევქოლოგიური კრებული და იქიდან ამოიღებდა ყველაფერ ამასო (736). ჯერ ერთი—ეს არსაიდან არ ჩანს, მეორე—ვინც იცის, რა არის „ევქოლოგიონი“, იმან ისიც იცის, რომ ამ საეკლესიო წიგნში შექმონდათ ოფიციალურად სანქციონირებული ლოცვები და არა კერძო პირთა მიერ სხვადასხვა შემთხვევის გამო წარმოთქმული ლოცვები და სიტყვები. გამოკვლევა ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს გრიგოლ ხანძთელი, თუ არა ლექსით, პროზაული სიტყვით არავის ელაპარაკება: აქაა და ღმერთს მიმართავს ლექსად ნათქვამი ლოცვით, იქ—დიმიტრი მეფის წინაშე, ჩვეულებრივი საუბრის დროს, ლექსით შეამკობს კლარჯეთს!

ამრიგად, გრიგოლ ხანძთელი რომ მწერალია, ეს დიდი ხანია ცნობილია, ეს დადასტურებულია მის ბიოგრაფიაში, მაგრამ გარკვევა მისი ჰიმნოგრაფიული, საზოგადოდ ლიტერატურული, მემკვიდრეობისა, კლავ ვიშეორებით, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია.

\* \* \*

სხვა ჰიმნოგრაფებსა და მათ შემოქმედებაზე დაწერილებით აღარ შეგჩერდებით, დაკვმაყოფილებით მხოლოდ მოკლე, ზოგადი შენიშვნებით.

მკვლევარს ჰიმნოგრაფთა შორის დასახელებული ჰყავს რამდენიმე დღენდე უცნობი პირი, მათ შორის ექვმიუტანელად უნდა ჩაითვალოს პასილ საბ. წმიდელი, რომლის დრო, მართალია, გაურკვეველია, სამაგიეროდ შენახულა მისი ნაწარმოები, რომელსაც მისი სახელი აღუნიშნავს. ეს ნაწარმოები თავის დროს გამოსცა ნ. მარმა (Описание грузин. рукописей Синагского монастыря, стр. 149). მაგრამ აკროსტიხის ასოები (ბასილ) ვერ შენიშნა. ცნობები, რომელსაც ავტორი იძლევა ზოგიერთ სხვა ჰიმნოგრაფთა შესახებ, ყოველთვის დასაბუთებული და ფაქტებით გამართლებული არაა. იმ ზოგიერთი შენიშვნა ამ ხაზით:

ექვთიმე ათონელის შესახებ, რომ ის არის შვილი ვილაც იოანე აბულპერითისა, ის იმეორებს მ. ჯანაშვილის დიდი ხანია მოძველებულ ცნობას, რომელიც მერე მ. ბერძენიშვილმა გააცოცხლა და რომელიც ამ უკანასკნელ

წლებში დასაბუთებულად უარყოფილია (კ. კეკელიძე). მკვლევარი უარყოფს ჩვენს აზრს, რომ მიქელ მოდრეკილის კრებულის მინაწერი—„უფალო, შეიწყალე ევთჳმე ცოდვილი მწარედ“—გულისხმობს ექვთიმე ათონელს. ამ ცნობის შესახებ ჩვენ ვამბობთ, რომ ის „წერია“ დასახელებულ ხელნაწერში და არა „ჩაწერილია“ (ეს ამ შემთხვევაში ერთი და იგივე არაა). ხელი ამ სიტყვებისა განსხვავდება ექვთიმეს ხელისაგანო. ამბობს ავტორი (06), მაგრამ გამორიცხულია განა ის, რომ აღნიშნული სიტყვები დაწერილია არა ექვთიმეს ხელით უშუალოდ, არამედ ვინმე სხვის მიერ? იმ წლებში, როდესაც ტაო-კლარჯეთში მიქელ მოდრეკილის კრებული იწერებოდა, ექვთიმე ათონზეა და არა საქართველოშიო, გვეუბნებიან ჩვენ (106). აქ ჩვენ უნდა მოვიგონოთ ექვთიმეს ბიოგრაფიიდან შემდეგი ცნობა: ექვთიმე თარგმნიდა „არათუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ, არამედ სამეუფოსაცა და გზასა და სხუათა ეგევითართა ადგილთა“ (ათონ. კრებ. გვ. 27). განა ვიცით ჩვენ, როდის თარგმნიდა ექვთიმე ულუმბაზე? ის იქ ჰყავდა შამის ბავშვობაში (10—12 წლისა დაახლოებით), მერე, მისი „ცხოვრების“ მიხედვით, იმას იქ ვერ ვხედავთ. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ექვთიმეს ბიოგრაფიაში არ მოგვეპოვება ყოველგვარი წერილობანი მისი ცხოვრებისა.

მიქელ მოდრეკილი, ღომელიც, სხვადასხვა მონაცემებით, ნათესაურ კავშირში ჩანს ათონელებთან (ერთ-ერთი შვილი იოანე ვარაზვარესი არის მიქელი). მკვლევარმა ბურუსში გახვია, როდესაც ის წარმოადგინა მათგან მოწყვეტილად (768), „უმამოდ და უდედოდ“, როგორც ბიბლიაში ნათქვამია ერთი პიროვნების შესახებ (მელქისედეკი). მიქელის ლიტერატურული შემკვიდრების გასარკვევად ჩვენ ერთადერთი უდავო საშუალება გვაქვს: მისი ფსევდონიმი, კრიპტოგრამა (40, 10, 600, 1, 5, 30). სალექსო ფორმით (024—032) ამას ვერ გავარკვევთ, რადგანაც საძიებელი და სარკვევით თვით ეს ფორმა. მკვლევარი ემწყვდევს ერთგვარ რკალში: ესადაეს ნაწარმოები იმიტომაა მიქელის, რომ უდგება მის სალექსო ფორმას, ხოლო მის სალექსო ფორმას არკვევს მისი ნაწარმოებები.

ასეთი სიფრთხილეა საჭირო გიორგი მერჩულის ლიტერატურული შემკვიდრების გასათვალისწინებლადაც, თორემ შესაძლებელია ისეთი შეკდომა დაეუშვათ, როგორც დაუშვია ჩვენს ავტორს, როდესაც გიორგის სახელთან დაუკავშირებია საგალობელი „ნუ მტირ მე, დედაო, რაჟამს მიხილო მე, ძე შენი, საფლავსა დადებული“ (855). ეს საგალობელი ბერძნულიდანაა ნათარგმნი (სლავურად: „не риди мене, мати, зрящи бо грѣше полюжиша“; ეს არის ზეცხრე ირმოსი დიდი შაბათის ცისკრისა, ის ეკუთვნის, ერთი ცნობით, პოეტ ქალს იკასიას (IX ს.), მეორეთი—მარკოზ ოტრანტელს.

ავტორი ამტკიცებს, რომ გიორგი არის არა „მერჩული“, არამედ „მერჩულე“, კანონების მკოდნე“. ეს საეჭვოა. მაგრამ თუ ეს მართლა ასეა, „კანონების კოდნა“ აქ არაფერ შუაშია: „მერჩულე“ ასკეტიკურ ლიტერატურაში ეწოდება „მოწესეს“, რაც ბერს, მონაზონს ნიშნავს. მაგალითად: „ღირს ვიქმენ მე გლახაკი ესე და ნარჩეული ყოველთა მოწესეთაჲ ეფთჳიმე თარგანებად“ (Р. Орбелин, Грузин. рукописи Института Востоковедения, рясупок 23). ანდა, ანასტასია რომაელს ეწოდება „მოწესე მოწამე“ ასეთი შენიშვნით: „რამეთუ ვითარ იგი ძუძლითგან ითქუმის „მლდელ-მოწამე“, აწახლად ვიწყებთ სიტყუად ბერძულისა მიერ „მოწესე მოწამესა“ მონაზონისა მოწამისათჳს“ (გელ. ხელნ. № 4, ფურ. 621).

ავტორი უარყოფს, რომ „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ეყუთვნის იოანე-ზოსიმეს (746—753), უმთავრესად იმ მოსაზრებით, რომ იოანეს მიერ გადაწერილ ხელნაწერებში ტექსტი ამ ნაწარმოებისა იმდენადაა დამახინჯებული, რომ ავტორისაგან ეს მოსალოდნელი ირიაო. ჩვენი მკვლევარი ისწორებს ამ დამახინჯებულ ადგილებს, მაგრამ ამ გასწორებას არ იზიარებს არც ერთი ხელნაწერი. ავტორს უურადღება უფრო მეტიდ იმაზე უნდა შეეჩერებია, რომ ამ ნაწარმოებში მისი ივექსონი საგანგებო ინტერესს ამელაენებს რადიკალური ციფრობრივი მონაცემებისადმი ტექნიკური პრონოლოგიის ხაზით. აქ ჩვენ ვეცნობით ქართულ-ბერძნული წელთაღრიცხვის სისტემას და მათ შორის არსებულ განსხვავებას. ასეთი საკითხები კი, როგორც ცნობილია, იმ დროს სწორედ იოანე-ზოსიმეს აინტერესებდა (კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ილიშის სახარება, უნივერსიტეტის მოამბე, II, 382—7; აღიშის ოთხთავის თარიღისათვის, ერიუდები, II, 336—337). იმით აიხსნება ალბათ ის გარემოება, რომ ეს „ქება“ შეტანილია თვით იოანეს მიერ ისეთ ხელნაწერებში, სადაც მოთავსებულია მისივე ტრაქტატი „გამოძიებისათვის გამოთა და წელთა“.

საეკვთა, ყოველ შემთხვევაში დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება, რომ 1093 წლის ხელნაწერში მოთავსებული „სამების საგალობლები“ ეყუთვნის გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს ეპიფანეს. საქმე ეს არის, რომ ეპიფანე, თანამად გრიგოლის „ცხოვრებისა“, დიდად ცნობილი, „სასწაულთმოქმედი“ კაცი იყო. მას „დიდი ეპიფანე“ ეწოდებოდა და, როგორც ისეთი, ღირსი გასდა გრიგოლის შემდეგ ხანძთის მამასახლისობა დაეკავებია. 1093 წლის ხელნაწერში მის შესახებ ნათქვამია: „ეპიფანეს ვისმე მოძღუარსა უთქვამნო“ (1072—073). ეპიფანე ხანძთელს ასე უდიერად ვერ მოიხსენებდნენ: ვილაც ეპიფანეს უთქვამსო. მეორე—განა IX—X საუკუნეებში ამ ეპიფანეს გარდა სხვა ეპიფანე არ შეიძლება ყოფილიყო?

დასასრულ, ერთი შენიშვნა: მკვლევარი დაეინებით ამტკიცებს, რომ ცნობილი ქართველი მწერალი „ნეტარი მინჩხი“ იყო ერისკაცი და არა სასულიერო პირი. მართალია, ამბობს ის, მინჩხს „ნეტარი“ ეწოდება, მაგრამ ეს არა იმიტომ, რომ ის სასულიერო პირი იყო, არამედ მისი ლეაწლისათვის პიპნოგრაფიული პოეზიის დარგში; თან მას ეწოდება „ივანე“. რაც მის ერისკაცობას აღნიშნავს, ის რომ სასულიერო პირი ყოფილიყო, „იოანე“ ეწოდებოდა (671). ეს სწორი არაა, „ნეტარი“ ერისკაცს არ ეწოდებოდა, ეს არის ოფიციალური საეკლესიო ტიტულატურა ცოცხლებში სასულიერო პირისა (მაგალითად პატრიარქებისა, ეპისკოპოსებისა), მკვდრებში კი დაბალი რანგის სასულიერო პირებისა, რომელნიც „წმიდანად“ არიან ეკლესიის მიერ ჩარიცხულნი თუ ჩასარიცხნი. რაც შეეხება სახელს ივანე—იოანე, ის ვერ გაგვირკვევს, რომ მისი მატარებელი უკველად ერისკაცი ან სასულიერო პირია. მაგალითად, იოანე ხშირად მეფეებსაც ეწოდებოდა და მეფისწულეებსაც (მოვიგონოთ ჩვენი იოანე ბატონიშვილი XIX ს.). ხოლო სახელს „ივანე“ იტარებდნენ არა მარტო ერისკაცები, არამედ სასულიერო სფეროს ადამიანებიც. მაგალითად, ცნობილი იოანე-ზოსიმეს სახელი ერთ კრიპტოგრაფიულ წარწერაში იკითხება როგორც რხფქ, რაც, პროფ. ი. შანიძის ამოშიფრვით, ნიშნავს „ივანე“ (ქართული კრიპტოგრაფიის ნიმუშები, საქართ. მუზ. მოამბე № 1, ტ. 1, ივანე ეწოდებოდა თვით წმიდანებმაც კი. მაგალითად, ქილ-ეტრატის იადგარში ნათლისმცემელს ეწოდება არა იოანე, როგორც ჩვეულებრივ არის ეს მიღებული, არამედ ივანე (H 2123, ფ. 197 v), აქედანაა—ივანე

ნობის თვე. ივანე ეწოდება ნათლისმცემელს ეპიფანე კვიპრელის თხზულება-შიც, რომელიც ცნობილია „ათორმეტთა თუალთათჳს“ სახელით: „რაშეთუ ივანცა იყო ნათესავისა მის-გან ლევისი“<sup>1</sup>.

სასურველი იყო იეტორს მოეცა ხსენა-განმარტება იმ მუსიკალური თუ პოეტური ტერმინებისა, რომელნიც ჰიმნოგრაფიულ კრებულებში გვხვდება. განსაკუთრებით მიქელ მოდრეკილის იადგარში. ამისი ცდები აქვს მან, მაგრამ ყოველთვის ისინი გამართლებულნი არ არიან. ასე მაგალითად, ის განმარტავს ტერმინს „სპადუქნი“. ამ ტერმინშიო, ამბობს ის, ჩვენ გვაქვს ბერძნული სახელი მუსიკალური საკრავისა თაძმჳ (სპადიქს); იგი ჩანგის მსგავს სიმებიან საკრავს წარმოადგენდა. ასეთი სახელი საგალობელს დარქმევია იშის გაშო, რომ ის სრულდებოდა ამ საკრავის თანხლებითო (გვ. 675). საკითხი საკრავის ბერძნული სახელისა და მისი ქართული ექვივალენტის შესახებ მიგვიჩვენია სპეციალისტებისათვის. იმას კი ვერ გავიზიარებთ, რომ შესაფერისი საგალობელი სრულდებოდა ამ საკრავის თანხლებით. რატომ? იმიტომ რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში, რომელსაც ქართული ეკლესიაც ეკუთვნოდა, ლეთისმსახურებაში არასოდეს მუსიკალური ინსტრუმენტი, სიმებიანი იქნებოდა ის თუ სხვა ხასიათისა, მიღებული არ ყოფილა. აბა წარმოიდგინეთ შეათე საუკუნის (მიქელ მოდრეკილის დროის) ჩვენი წინაპრები, რომელთაც ეკლესიაში დაუჭერიათ ხელში სიმებიანი საკრავი და ზედ საგალობლებს ამღერებენ!

• •

აწრივად, ჩვენს ცნობილ მკვლევარს, პ. ინგოროყვას, მოუცია დიდი და საპატიო შრომა, მაგრამ შედეგები ამ შრომისა სამწუხაროდ ყოველთვის არ მართლდება. ეს შრომა უფრო მეტი ღირებულების იქნებოდა, იმაში ემოციებს რომ უფრო ნაკლები ადგილი ჰქონოდა. იეტორს მოუტანია მეტად მდიდარი მისალა ხელნაწერებიდან, მაგრამ მოუტანია არა ყოველთვის ზუსტად და სწორად. მას წამოუყენებია მრავალი ახალი საკითხი, მაგრამ გადაწყვეტა იმ საკითხებისა არის უმეტეს ნაწილად საეჭვო და არასაკმარისად დასაბუთებული, ან, პირდაპირ რომ ვთქვათ, დაუაბუთებელი და არაიშვიათად მცდარი. რაც უნდა იყოს, ის იძლევა იმპულსს შემდგომი დაკვირვებისა და კვლევა-ძიებისათვის ძველი ქართული სააულიერო პოეზიის დარგში.

<sup>1</sup> R. P. Blake, Epifanius De Gemmis, London, 1934, გვ. 27, სტრ. 23.